

მაისისათვის მშენებლობის გეგმა შესრულებულია 137%



ნახ. ა. ბანძელაძისა

— საპირველმახოდ რას ჰკიდებს ის კაცი, იმ სიმაღლეზე?
— მაღალ მაჩვენებელს!

ს ი ა ს ბ



მხატვრები ხაფანგეთს მუდამ კეკლუც ქალად წარმოიდგენდნენ,—ახლა ამ ქალს ხელები ამერიკულ დროშით აქვს შეკრული და ეელზე მძიმე „რური“ ჰკიდია!

ახლახან ამერიკის შეერთებულ შტატებში მოგზაურთა ამერიკისათვის დაქვემდებარებულ ფრანგული „შტატის პრეზიდენტმა ორიოლმა. მოგზაურობის მიზანი გახლდათ მოწყენილი პრეზიდენტის „გართობა-გახალისება“.

და მართლაც ისეთი გასართობი შეხვედრები მოუწყეს ამ უცნაურ „ტურისტს“, რომ ოქროს ასოებით შეიძლება ჩაიწეროს დარბაზობის ისტორიაში.

იგი დაესწრო 43 ბანკეტს, შვიდეჯერ მონაწილეობდა მისთვის სპეციალურად მოწყობილ მიღებაზე და ორმოცდასამჯერ მოისმინა ჯაზის მიერ შესრულებული „მარსელიოზა“.



ეს კიდევ არაფერი. ყველაზე ღირსშესანიშნავი მოვლენა, რომლითაც პრეზიდენტის მოგზაურობა აღინიშნა, ის გახლდათ, რომ იგი დააჯილდოვეს სხვადასხვა საჩუქრებით... ნემსკავებით, მცირე ფორმის ქანდაკებებით და ტიკინებით.

როგორც უოლ-სტრიტის არაოფიციალური წრეები განმარტავენ, ეს საჩუქრები სიმბოლური ყოფილა და უალრესად რთული შინაარსი ჰქონია. ქანდაკებები, თურმე, ნიშნავდა საფრანგეთის წარსულ კულტურას, ნემსკავები—მარშალის გეგმით საფრანგეთისთვის მოდებულ ნემსკავს და ტიკინები კი პირწავარდნილი ორიოლის გამოსახულებანი ყოფილან.

ეს სიმბოლური მხარე. რაც შეეხება მოგზაურობის დროს განცდილ საქმიან სანახაობებს, დანაშაული იქნებოდა არ ალგვენიშნა შემდეგი გარემოება: სხვა კონცერტებს შორის, ერთი ღირსშესანიშნავი კონცერტი მოისმინა ფრანგმა მოგზაურმა: საგანგებოდ უმღერა: „მარსელიოზა“... პოლიციელთა გუნდმა. გუნდის ლოტბარს, როგორც იტყობინებთან, ლოტბართა ჩვეულებრივი ჯოხის მაგიერ, ხელში ჰკავებია რეზინის ვეებერთელა ხელკეტი. ის ხელკეტი, რომელსაც ლოტბარობის გარდა, ამერიკელი პოლისმენები უმთავრესად მშვიდობის მომხრეთა ზურგის ასაკრელებლად იყენებენ.

პრეზიდენტი ორიოლი საფრანგეთს დაბრუნდა. გულდასმით დაუკვირდა მოგზაურობით შეძენილ ზოგიერთ გამოცდილებას და ფიქრობს საფრანგეთში გამოიყენოს იგი.

ორიოლმა გადაწყვიტა, უპირველესად ყოვლისა, უფრო მეტად განავითაროს საფრანგეთში დღემდისაც საკმაოდ ცნობილი პოლიციელ „ლოტბართა“ ტექნიკა. პოლიციელები ახალი, რამდენადმე შეცვლილი მეთოდით „ლოტბარობას“ უთუოდ გაუწევენ მორიგ საპირველმამისო დემონსტრაციას. წინ აღუდგებიან ნამდვილი „მარსელიოზის“ შემსრულებელ ფრანგ მუშებს და მათ მოთხოვნას ფრანგი ხალხის გამყიდველთა თავიდან მოცილების შესახებ, ხელკეტით დააკმაყოფილებენ“.



პოლიციელთა საპირველმამისო საუბაკი

ნან. გ. ლომიძისა

—მიკვირს, ჩვენი ხალხი რად არის ჩვენი უმადური. —დემონსტრაციაზე ქვეითად გამოვიდნენ, ჩვენ კი შინ მანქანებით მივაბრძანეთ.

ღამაზი სიზაკები

ერთმა ჩემმა მეგობარმა მხატვარმა ასეთი რამ მიაბო: „სამრეწველო თემაზე ვმუშაობდი. ქარხნის ცხოვრებიდან სურათი უნდა დამეხატა. ქარხანაში ჩემ სურვილს გულთბილად შეხვდნენ და სამუშაოდ საგანგებო ოთახი გამომიყვეს. მიედიოდი, ვმუშაობდი.

ყველაფერი რიგზე გახლდათ, მხოლოდ საპირველმისო სამზადისი დაიწყეთ თუ არა, ქარხანასთან ერთად მეც ავფორიაქდი.

დამიძახა ქარხნის დირექტორმა და მეუბნება:

— იცით რა, ჩემო კარგო, თქვენ რომ სურათზე ასეთი სიყვარულით მუშაობთ და გამოფენისთვის ემზადებით, გასაგებია. მაგრამ ნუ გაგიკვირდებათ, თუ ჩვენც ვიქნებით გამოფენაზე გამოსვლის მოსურნე.

პირველად ვერ გავუგე.

— მე გამოფენაზე თქვენი ცხოვრება გამომაქვს!— ვუთხარი გაკვირვებულმა.

— მაგის გამო მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ჩვენ სხვა გამოფენაზე ვაპირებთ გამოსვლას: მანქანა უნდა მოვრთოთ და საპირველმისო დემონსტრაციაზე გამოვიდეთ. მოგესტენებათ, როგორი გახურებული წინასამისო შეჯიბრება ჩვენს ქარხანაში. ალბათ, ისიც იცით, რომ ჩვენ გეგმას გადაქარბებით ვასრულებთ... ჰოდა, ყველაფერ ამას საქვეყნოდ გამოტანა უნდა, ხალხმა უნდა დაინახოს, ვაიგოს.

ჯერ კინაღამ უარი ვუთხარი. მანქანის გაფორმება რა ჩემი საქმეა-მეთქი, მაგრამ ქარხნელთა პატივისცემა ყელში მომებჯინა და ორი სიტყვა ძლივსლა წამოვილულლულე:

— ბატონი ბრძანდებით!

მანქანის გაფორმების ესკიზი გავაკეთე. ვაჩვენე. მოეწონათ. ორი ხელოსანი მოვიტხოვე და საქმეს შევუდექი.

ყველა ფაციფუცობდა, განსაკუთრებით უფროსები, დღე-ღამეს ათენებდნენ და მეც სამი სამუშაო დღე ისე გამეპარა, არაფერი მიგრძენია.

მანქანა ყოველმხრივ მზად იყო სადემონსტრაციოდ, მხოლოდ საწარმოო გეგმის შესრულების ციფრებილა აკლდა. ეს კი მთავარი გახლდათ, როგორც მანქანის გასაფორმებლად, ისე მთელი ქარხნისთვის.

— ას ორი პროცენტით გვექნება გეგმა შესრულებული. ქარხნისთვის კი, თქვენც კარგად მოგესტენებათ, მთავარი გეგმის შესრულების ციფრებია და, როგორც ესკიზში გქონდათ ნაჩვენები, ეს მთავარი ყველაზე მეტად უნდა ჩანდეს.— მითხრა დირექტორმა.

ეს გახლდათ აპრილის ოცდარვას, დილით. თითომეტრიანი ციფრები შემოვხაზე, „102%“, ხელოსნებს გადავეცი და გამოვკარევი. შემდეგ შევლებე და ციფრები მზეზე ოქროსფრად აბრწყინდნენ.

ჩვენი მანქანა უკვე მორთულ-მოკაზმული იყო. ქარხნის ხელმძღვანელობას ისე მოეწონა, იმდენი მაქვს, ქარხანაში რომ ორი მხატვრის შტატი ჰქონოდათ, ორივე ადგილზე მე ამიყვანდნენ სამუშაოდ. მაგრამ 30-ს ღამით საოცარი ამბავი მოხდა.

ვინაიდან ჩემს საკუთარ ოჯახსაც ჰქონდა წინასამისო სამზადისი, შინ გახლდით... ტელეფონმა არ მომასვენა: — „ქარხანაში სასწრაფოდ გამოცხადდით“...

— დაიწუნა ვინმემ მანქანის გაფორმება?— მისვლისთანავე ვკითხე დირექტორს.

— დიახ, ჩვენმა მუშებმა დაიწუნეს, ხაზი გადაუსვეს თქვენს ციფრებს!

— ციფრები მე მგონია, ცუდად არ იყო დაწერილი!

— მართალია, მაგრამ მუშებმა უკეთესად დაწერეს!

ვერ მივუხვდი, ვთხოვე დაწერილებით განემარტა ნამდვილი შინაარსი.

— ამ დღეებში ახალი რაციონალური წინადადება გავტარეთ ჩვენი ქარხნის ერთ სამუშაოში,— თქვა მან,— საქმე ისე სწრაფად წავიდა, პროდუქციის გამოშვება ისე გადიდა, რომ ერთი სამუშაოს მაჩვენებლებმა მთელი ქარხნის ბუხ-

ფოტოლუკუმენტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მაკარტურმა კორეაში ველარ მოიკადათა, და ამიტომ თავის პატრონს ალარც უღირს ჩაიდა. კარგად ვიცით, მასთან ერთად ქვეყნად ვინც იჭადათა,— ტრუმენისთვის დანუნდია უფრო დიდი კადათა.

დელი ოდილაგაქა

პალტერია ყირაზე დააყენა... ციფრები უნდა შეიცვალოს მანქანაზე.

— ამდენი ნაშრომი... ასეთი ღამაზი ციფრები!— ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— ამჟამად თქვენს ციფრებს მხოლოდ ფორმა შერჩა ღამაზი. მისი შინაარსი კი ალარ მოგეწონს. გვაპატიეთ, რომ ეს ჩვენც ვერ გავითვალისწინეთ წინასწარ...

მე ავუხსენი, რომ დარჩენილ მცირე დროში ახალი, ღამაზი ციფრების გამოკრა და შეღებვა არ მოესწრებოდა. დირექტორი ჩაფიქრდა.

მეც ფიქრს მივეცი თავი და დადუმებულს სახე მომელუშა.

— ერთადერთი კაცი, რომელსაც ჩვენი გამარჯვება ეწყინა!— სიცილით თქვა ერთმა მუშამ.

— არა, მეგობრებო, მას ეს არ სწყენია.— თქვა დირექტორმა, რომელმაც საიდანღაც მოიტანა ლურჯად შეღებილი ფირფიცარი, ზედ ცარცით „116%“ წააწერა, მანქანის წინახედზე ჩემს ციფრებს ჩამოაფარა და გაფორმების მთელი კომპოზიცია დაარღვია.

— ასე კარგად გაფორმებულ მანქანაზე, ასეთი ულაზათო წარწერა! ეს ხომ სირცხვილია...— ვთქვი მე და, ალბათ, მთლად გავწითლდი.

ციფრის ოსტატებმა გაიცინეს.

დირექტორმა კი დაუმატა:

— არა, მეგობარო, სიღამაზე შინაარსშია! ასეთი ღამაზი ციფრებით ჩვენ პირველად გავდივართ დემონსტრაციაზე!

ბ. ივანიშვილი

ქალაქგარეთ სანადიროდ გასუა მონადირეთა,
საქმით, შრომით, მშენებლობით დიდთა, განა მცირეთა!



კონსტ. გამსახურაძე

შაბათი რომ დაღამდება,
ფრთას შლის უკვე ოცნება,—
სანადირო თოფის ღულა
ჩუმად დაიკოცნება!

თვალს რომ რული მოერგვა,
განა მართლა რულია?—
შაბათ ღამით საგანგებო
სხდომაც დახურულია!

მუშაობის შემდეგ, ძილით,
აბა, ვინ გაერთობა!—
ყველა ტყისკენ მიისწრაფვის,
თოფი აქვს თუ—ხელთოფა,

ტყე რომ დაერგეთ და, მტკვრისპირად,
ხის ნერგი რომ შრიაღებს,
დღეს წინასწარ უხარიათ
ნადირობის ტრფიყალებს!..

შაბათი რომ დაღამდება,
ხედავს მთელი თბილისი:
ნათელღვალმა გზებს დაუძებს
კონსტანტინეს ვილისი!

ვინ უნეს განთქმულ მონადირეს,
ბედი რას შესთავაზებს!..
მაგრამ მისი სიტყვით რომ ვთქვათ,
უფრო ხელება ავაზებს!



ნიკოლოზი

პატივცემულ ნიკოს, დილით
ვერ ასწრებს მამილი,
თუც მშვიდობის მომხრე გახლეთ,—
დააქვს თოფისნამაილი!

და ვერაუბს უდარაუბს,
დამშვიდებით მგდარი შორს,—
რადგან ზუსტად შეუძლია
სრია იანგარიშობა:

A სივრცეში B ფრინველი,
ეთქვათ, გამოჩნდა ფრთამარდი,—
A B - ს = C მანძილით
გაფანტული საფანტრ...

გიორგის კი, თოფის ბათვი
აურიობს და არ აქვებებს,
უფრო ეტრფის სლოფიდან
ჩამოტანილ ანკესებს!

იფრისპირად ვაზრდილია,
რას ისურვებს უკეთესს?—
ითევზაოს, სანამ იორს
გზა არ გადაუკეტოს!..

როცა თევზებს იჭერს, თევზებს
ღვნით გული ვესვამათ,—
რადგან თევზებს ამის შემდეგ
თვლიან უკვდავ თევზებად!




გიორგი ლეონიძე



მთა და როცა თვალნი
სცენად მღილია,
სანადირომოსული
სანდროევილია!

შინაურად უმღერს...
და იმ ღან—ამ მთამის
გარეულ მუნდინ
ისე, როც აუთანდის!

სახელს ეც არ გაიტხეს
სროლილის მიგნებით...
მისი ხმა მტეხია
სახელს ნიგნებით.



ჩვენმა ნიკომ, ჩვენი გული
რატომ უნდა ატიროს?
შეუძლია კარგი წიგნით
გულიც მოინადიროს!..

შაბათი რომ დაღამდება,
კვირა დღის იმედილი,—
ჩემი აუტოც გზებს დაუძებს,
თვლით მოციმციმებით!

ვაჭკაუკრი შრომის შემდეგ,
ვაჭკაუჭრად ვერთობი,
დამიზნებულ თვალს, გასროლილ
ტყვიასავით ვენდობი!



გოგოტუა მისიძე



აი, როგორ გაამწვანა საპირველმართისოდ ამხანაგმა ნიკანდრომ გამხმარი ხეები...

მშობლიური სიმღერა

საპირველმართისო პარადი დასასრულს უახლოვდებოდა. ტრიბუნის წინ მწყობრად მიიბიჯებდნენ აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები. კოლონას წინ მიუძღოდა ნაციონალურ ტანისამოსში გამოწყობილი მომღერალთა გუნდი. უცებ მოისმა ვაჟკაცური, მწყობრი სიმღერის ხმები: „ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო“. სიტყვები მოედინა მოედანს. ტრიბუნიდან ტაშის-ცემით შეხედნენ გუნდს. ტაშით დააჯილდოვეს საზეიმოდ მორთული ავტო-მანქანა, რომელზედაც აბრეშუმის ქსოვილთა ახალი ნიმუშები იყო გამო-ფენილი.

გუნდი მხოლოდ პუსუნიის მოედანზე დაიშალა. გიორგის და ქეთევანს, რომლებიც, მიუხედავად მათი ხანდაზმულობისა, საუკეთესო მომღერლებად ითვლებოდნენ, სათითაოდ ემშვიდობებოდნენ ფაბრიკის თანამშრომლებს.

— აბა, ხომ იცით, საღამოს ჩვენთან მოხვალთ. — თითქმის იხვეწებოდა გიორგი.

— არ გამეპაროთ, რადიოკომიტეტში რომ კონცერტი გვაქვს, მის შემდეგ ჩვენთან გავაგრძელებთ სიმღერებს. — ეუბნებოდა გუნდის წევრებს ქეთევანი.

— ავთანდილი რომ თბილისში არ არის? მაინც იხდით მისი დაბადების დღეს? — იკითხა თაფლისფერთვალემა ლამაზმა გოგონამ.

— რა ვქნათ, ჩემო მანანა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია. — მიუგო ქეთევანმა, — იმედი გვქონდა მისი ჩამოსვლის, მაგრამ, ერთობა ვერ მოახერხა, ხომ იცით, კუბიშვილის მშენებლობას ზღაპრული ტემპები სჭირდება... პირველ მაისს კი ჩვენს ოჯახში გაორმაგებული ზეიმი უნდა იყოს, ბედნიერ დღეს დაიბადა ჩემი ავთანდილი.

ფაბრიკის თანამშრომლებმა მადლობა გადაუხადეს ცოლ-ქმარს მიბატონებისთვის და ძნელადი ქუჩის აღმართს შეუდგნენ.

გიორგი და ქეთევანი ნელი ნაბიჯებით აპყვნენ სახლის კიბეებს.

— გახსოვს, ქეთევან? — წარმოსთქვა ოთახში შესულმა გიორგიმ, — პირველ მაისს პირდაპირ ზეიმიდან რომ მოიყვანდა სკოლის ამხანაგებს ჩვენი ავთანდილი, დაგვგვამდა ორივეს როიალთან და მთელი დღე გვაძლევდა! — გიორგი როიალს მიუჯდა და ჩუმი ხმით რაღაც წაილიღინა.

— დედა ენაცვალოს იმას, კარგი სმენა აქვს, მაგრამ მუსიკას ინჟინრობა არჩია. — წარმოსთქვა ქეთევანმა. ქმარს კისერზე ხელები შემოხვია და უნებურად ააყოლა სიმღერა.

დიდხანს მღეროდა ცოლ-ქმარი, სხვადასხვა მელოდიებს იხსენებდნენ, და მუდამ უბრუნდებოდნენ ერთს: „ავთანდილ გადინადირა“.

„რა ბავშვივით უხაროდა ამას რომ ემღეროდით“, ფიქრობდა თავის ვაჟიშვილზე ქეთევანი.

სიმღერის სიყვარული გამეფებული იყო გიორგის ოჯახში. ქეთევანი და გიორგიც სიმღერამ შეახვედრა ერთმანეთს.

ერთ ქორწილზე გიორგიმ პირველად ნახა ახალგაზრდა ქეთო, გრძელი თითებით რომ აქლერებდა ჩონგურის სიმებს და მგრძობიარე ხმით რომ მღეროდა. ალტაცებაში მოვიდა გიორგი, მაგრამ თავისი ხმითაც მოხიბლა ქეთევანი. ქორწილს ქორწილი გადაება... და როდესაც ცოლ-ქმარი აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში მოეწყვენ, სამუშაოდ, მაშინვე მომღერალთა გუნდის წევრებად ჩაეწერნენ. მათი წყალობით გუნდი ისე გაძლიერდა, რომ ხშირად რადიოშიც გამოჰყავდათ.

შვიდს 10 წუთი აკლდა, გიორგი და ქეთევანი რადიოკომიტეტის მუსიკალურ გადაცემათა სტუდიაში შევიდნენ. ოთახი საესე იყო მომღერლებით. გუნდის ლოტბარმა მაშინვე შენიშნა ცოლ-ქმარი და მათთან მივიდა.

— გიორგი, დღეს პროგრამა გამოცვლილია, აბა, ვაიმეორეთ ეს სიტყვები, ამას იმღერებთ.

გიორგიმ ტექსტს დაჰხედა: „ავთანდილ გადინადირა“ იყო. ცოლ-ქმარს სახე გაუნათდა და ღიმილით შეხედეს ლოტბარს.

შვიდს რამდენიმე წამი აკლდა, როცა სტუდიაში კალარაშერეული დიქტორი ქალი შემოვიდა, მიკროფონს მიუახლოვდა, ნახევარწრედ დაწყობილ მომღერლებს სიჩუმე ანიშნა და მიკროფონი ჩართო.

— ლაპარაკობს თბილისი, — მოისმა რბილი, ხავერდოვანი ხმა, — ვიწყებთ კონცერტს კუბიშვილის მშენებლობაზე მომუშავე ქართველ ინჟინერთა შეკვეთით...

— ქეთევანმა ელდანაცემით აიხედა ბარიტონებისკენ, გიორგი დიქტორისკენ გადაზნექილიყო მთელი ტანით.

— ახალგაზრდა ინჟინერთა ჯგუფი გვთხოვს შევასრულოთ საგუნდო სიმღერები ზაქარია ფალიაშვილის ოპერებიდან...

— ჩემო შეილო! — კინაღამ წამოიყვირა ქეთევანმა, მაგრამ თავი შეიკავა და მხოლოდ ხელების მოძრაობით გამოამყვანა თავისი სიხარული. გუნდის წევრებს ელექტროდენივით გადაედოთ ალღევება, მაგრამ დიქტორმა თავის-მოუბრუნებლად მალლა ასწია მარჯვენა ხელი, ე. ი. სიჩუმეს მოითხოვდა. ლოტბარმა ღიმილით გადახედა მომღერლებს და ხელის ამართვით ნიშანი მისცა.

ასე მუსიკალურად და ასეთი გრძობით არასოდეს არ უმღერია გუნდს. **ნადირა ჯიფიანი**



კონკურსი

ჟურნალ „ნიანგის“ რედაქცია 1951 წ. 1. მაისიდან აც-
ხადებს ღია კონკურსს საუკეთესო სატირულ და იუმორის-
ტულ ნაწარმოებზე.
კონკურსში მონაწილეობის მიღება
შეუძლიათ მწერლებს და „ნიანგის“ ყველა
მკითხველს.

კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს:
სატირული და იუმორისტული მოთხრობები, პამფლე-
ტები და ფელეტონები (დაწერილი პროზად ან ლექსად) სა-
შინაო და საერთაშორისო აქტუალურ თემებზე.
საუკეთესო ნაწარმოებზე გაიცემა პრემიები:

ერთი პირველი პრემია
2000 მანეთი

ორი მეორე პრემია
თითოეული 1000 მანეთი

ორი მესამე პრემია
თითოეული 500 მანეთი

ამას გარდა გაიცემა ორი პრემია—თითო 500
მანეთის რაოდენობით კარიკატურის საუ-
კეთესო თემისა და წარწერისათვის.
მასალები კონკურსისათვის უნდა გამოიგზავნოს შემ-
დეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას, წარწერით: „კონკურსისა-
თვის“.

კონკურსზე წარმოდგენილი და დასაბუქდად მოწონე-
ბული მასალები, მიღების შემდეგ, თანდათანობით გამოქვეყ-
ნდება ჟურნალ „ნიანგში“ და ავტორები მიიღებენ ჩვეულებ-
რივ პონორარს.
კონკურსის ეიური — ჟურნალ „ნიანგის“ სარედაქციო
კოლეგია.

კონკურსზე მასალების წარმოდგენის უკანასკნელ ვადად
დაწესებულია 1951 წლის 31 ივლისი.
ნიანგი

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტический журнал „Ниванги“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

ბელმოწ. დასაბ. 1951 წ. 23/IV. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 937. გამოც. № 8. ტირ. 11.000. უე01642



აშაიკა—აშაიკის წინააღმდეგ

— დღითი-დღე იზრდება მათი ლაშქარი ამერიკის წინააღმდეგ... გადაეცით რადიოთი მთელს ქვეყანას!..
 — კი, მაგრამ, ისინი თვით ამერიკელები არიან, სერ, ხომ ხედავთ!